№ 132 5 მკათათვე, ოთხშაბათი 1866—1878 5 მკათათვე, ოთხშაბათი № 132

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲮᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცხრილოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გააზწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 2 Ივნ.ს. როდესაც ყველა დელეგატებმა მორიგების პირობაზე ხელი მოაწერეს, ბისმარკმა შემდეგის სიტყვებით დაჰხურა კონგრესსი:

„ᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑ, რომ კონგრესსის მუშაობა გათავებულია. პრეზიდენტის ვალად ვრაცხ, კონგრესსის მხრით გამოუცხადო მადლობა იმ წევრთა, რომელთაც კომისიების შრომაში მიიღეს მონაწილეობა; მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე კონგრესსის სეკრეტრები და სხვა ჩინოვნიკები, რომელთაც ჩვენი მძიმე საქმის სისრულეში მოყვანა გაგვიადვილეს.

„ᲐᲮᲚ ერთმანერთთან განშორების დროს მე თამამად ვაბობ, რომ კონგრესმა მთელი ევროპის მადლობა დაიმსახურა. თუ ჩვენ ყველა ვერ დავაკმაყოფილეთ, ისტორია ყოველ შემთხვევაში პატივით მოიხსენიებს ჩვენს შრომასა და წადილსა. ჩვენ ვცდილობდით მშვიდობიანობა დაგვემყარებინა ევროპაში. და მე სრული იმედი მაქვს, რომ ევროპის სახელმწიფოს შორის მკვიდრი მშვიდობიანობა და თანხმობა დამყარდება.

„ᲔᲠᲗᲮᲔᲚ კიდევ მადლობას უძღვნი ჩემს ამხანაგებს იმ კეთილ-განწყობილებისა და თანაგრძნობისათვის, რომელიც იმათ მე აღმოვიჩინეს და ამ მადლობის გრძნობით ეხურავ დღევანდელს უკანასკნელს სხდომას."

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 4 Ივლისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის —	97—26
მეორესი — — — —	96—37
მესამესი — — — —	96—12
მეოთხესი — — — —	96—50
აღმოსავლეთის — —	95—50
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	7—90

თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — „— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	243—	„
მეორე სესხის — — —	243—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი—	25—56	პენსი
ამსტერდამი—	128—50	ცენტი
ჰამბურგი— —	218—	„ პფენიგი
პარიჟი — —	260—	„ სანტიმი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲥᲔᲜᲐᲖᲔᲓ

ნამდვილათ ვიცით ახლა, რომ ბათუმი თავის ნავსადგურით რუსეთს დარჩება. სანამ დაწვრილებითი გარდაწყვეტილება ბერლინის კონგრესსისა, ე. ი. სანამ „ბერლინის პირობა" არ იქნება საქვეყნოთ გამოცხადებული, მანამ არ გვეცოდინება—ბათუმს გარდა იქითკენ რა მიწები, რა მაზრები დარჩება რუსეთს. მაგრამ, უეჭველია, რომ ცარიელ ბათუმს არ მოგვცემენ. აჭარაზე, ქობულეთზე, არტაანზე და ყარსზე კონგრესსში, როგორც ტელეგრამმებიდამ სჩანდა, ლაპარაკიც არ ჩამოვარდნილა; მაშა სადამე ამ მხრით სან-სტეფანოს მორიგების პირობა არ უნდა იყვეს შეცვლილი და ეს ადგილებიც რუსეთს დარჩება.

თუ ეს ასეა, რაღა თქმა უნდა, რომ ამ ახალ შეძენილ მიწებს ახალი მმართველობა, ახალი გამგებელნი დასჭირდება. ჩვენ უფლება არა გვაქვს, რასაკვირველია, მთავრობას ურჩიოთ, რომ ამ ქვეყნების მმართველად ესა-და-ეს პირები დანიშნეთ-მეთქი. მიტყვეთ მხოლოთ იმას, რომ მთავრობა, უეჭველია, მიიღებს მხედველობაში ამ ახალ შემოერთებულ ხალხთა ხასიათს, ჩვეულებას, სარწმუნოებას და სხ. და ამის-და-გვარად მოიქცევა ამ მძიმე საქმის გადაწყვეტის დროს.

ყარსის, ბაიაზეთის და არტაანის მხარეებზე არას ვამბობთ; იქ მომეტებული ნაწილი თათრები, ქურთები და სომხები სახლობენ; მარამ რაც შეეხება ბათუმის მხარეს, არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ აქ ამთავითვე მომეტებული სიფრთხილე და წინ-დახედვა გვმართებს. უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებდნენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბათუმისაკენ ინგლისისა და ოსმალეთის დანდობილნი პირნი დაიარებოდნენ და აქეზებდნენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგო, უქადაგებდნენ რუსეთის სიძულვილსაო...

რასაკვირველია, ბევრი ამოჩნდება ბათუმის მაზრაში ისეთი, რომელსაც მართლა ყველა ეს სჯერა...

ამიტომაც ვამბობთ, რომ ამ თავითვე იქ ერთობ დიდი სიფრთხილე, ერთობ წინდახედული მოქმედება და გამჭრიახობა გვმართებს. საჭიროა ისეთი კაცების დანიშნვა გამგებლებად, რომელთაც კარგათ იცოდნენ ადგილობრივი მდგომარეობა, ხალხის ზნე, ხასიათი, ენა, ჩვეულება და სხვ.

ამ თავითვე საჭიროა კარგის მხრით გაცნობა რუსეთისა; საჭიროა ახალმა გამგებლებმა იცოდნენ, როგორ ხალხთან ექმნებათ იმათ საქმე, ვისი გამგებლები არიან; საჭიროა, რომ ამათ, არათუ ხალხის ენა, ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება, არამედ თვით ცრუ-მორწმუნეობაც კი მიიღონ მხედველობაში და მეიწყნარონ.

როგორც ცალკე კაცის გული, ისე მთელის ხალხისა, გონიერებით, ჭკუიანი და სამართლიანის მოქცევითა და ლმობიერებით, კაცთ-მოყვარეობით უფრო მალე და ადვილად მოიგება, ვინემ სასტიკობით...

ს. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

* * * ზოგიერთს რუსულს და სამზღვარ გარეთის გაზეთებში იწერებიან. ვითომც ჩვენს მმართველობას განზრახვა აქვს, რომ ამ წლის პირველი ენკენისთვიდამ მოსპოს დამოქნის გადასახადის (ბაჟის) ოქროს ფულით გადახდა და ისევ ქაღალდის ფულის შეტანის უფლება უნდა მიეცესთ ვაჭრებსო.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს განკარგულება (ოქროთი გადახდა დამოქნების ბაჟისა) მხოლოთ ომიანობის გამო იყო დაწესებული, რომ ჩვენი ოქრო არ გასულიყო სამზღვარ გარეთ, შესაძლებელია, რომ ეს ამბავი მართალი გამოდგეს.

* * * სილნალიდამ გვწერენ, რომ მილიონერებისათვის კენჭის-ყრის დროს, იქაურს ქალაქის დეპუტატს უ. წ. ლ—ეს და ერთსაც კიდევ სხვას დიდი უწესობა ჩაუდენიათ. უ. წ. ლ—ზე კორრესპონდენტი, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს გვწერს:

„დეპუტატს შეეტყო, რომ ერთი აქაური უპატრონო ქვრივი—ᲐᲕᲐᲖᲝᲕᲘᲡᲐ, რო-

ბლის გვარად ხაჩატუროვი და რომელსაც ერთად-ერთი მცირე-წლოვანი ვაჟი ჰყავს, ფულიანი დედა-კაცი არისო. ამ დედა-კაცს რამდენჯერმე აგრძნობინა, რომ 25 მანეთი მოიტანეო, თორე შენს ვაჟს კენჭში ჩავაგდებო. დედა-კაცს ფული არ მოეძოდა და ამიტომ ვერ მისცა.

„ბამოჯაერებულმა დეპუტატმა ქვრივის შვილი აივაზოვად გამოიყვანა და კენჭში მოაქცია ნაცვლად ერთის დოვლათიანის სომხის შვილის ბალუსტოვისა, რომელზედაც სთქვა, რომ ქალაქში არ იმყოფებაო და რომელსაც ამისათვის ოთხმოცი თუმანი ფული ააგლიჯა.

„ამ ფულის გაყოფაზე ახლა ამ ორ დეპუტატს შუა აყალ-მაყალი ატყდა და თუ სამართლამდინ მიაღწევა, ყველაფერს შეგატყობინებთ.“

*** წუხელი, 3 ივნისს, ღამით, გვარიანი წვიმა დაუშვა და ცოტა არ იყო მიწა დაასველა და ჰაერიც გააგრილა. დღეს დილით ჯერ ისევ ჩვეულებრივად ცხელოდა; მაგრამ შუადღისას კიდევ თქვენი მოწონებული ნიაღვარი მოვიდა.

*** ჩვენ მივიღეთ სიღნაღიდამ შემდეგი ამბავი:

„თუმცა მთელი სიღნაღის უეზდიდამ დანიშნული რიცხვი მილიციონერებისა აარჩიეს; მაგრამ, როდესაც ყველამ მოიყარა თავი სიღნაღში, აღმოჩნდა, რომ ოთხი მილიციონერი კიდევ აკლდა, რომელთაც, ეტყობა, თავი მოურიდებიათ.

„ამის გამო ბრძანება არის უეზდის უფროსისაგან, რომ 200 ნომრიდამ რომელსაც მოატანონ, იმათში ამოირჩიონ ზემო-ხსენებული ოთხი მილიციონერი რიცხვის შესასრულებელად.

„ამ ამბის შეტყობაზედ სრულიად დაფთხა იქაური ჯელობა: ტყეებში და ღრეებში არიან დამალულნი. იპერენ ზოგიერთ ისეთ პირებს, რომელნიც კანონით განთავისუფლებული არიან. ამათ ჩივილს ყურს არ უგდებენ, ეუბნებიან: „შენც შენზე დაბალი ნომრისა იპოვნე, წარმოგვიდგინე და გაგიშვებთო.“

*** თფილისის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ძიზიყის არეულობის დროს ერთი მღვდელი ისე მძიმედ იყო ნაცემი, რომ მეორე დღეს მოკვდაო. ნამდვილად გვატყობინებენ ახლა, რომ ძიზიყის არეულობის დროს ცემით კი ბევრსა სცემეს, მაგრამ, საბედნიეროთ, არცერთი გალახული არ მომკვდარაო.

*** ამავე გაზეთში დაბეჭდლია უფ. ბ. ლოლობერიძის „ღია წიგნი უფ. „ოგზორის“ რედაქტორთან,“ რომელშიაც ის ეთანხმება ყველა პირობებზე, ოღონდ კი მედიატორების სამართალი მიიღეო. ორიენ მხარე თანახმანი არიან, რომ მედიატორეებად იყენენ სხვათა შორის შემდეგი პირნი: თ. ი. ა. ანდრონიკოვი, ე. მ. ვეიდენბაუმი, დ. ი. ყიფანი, ე. პ. სტარიცკი, თ. დ. დ. ჯორჯაძე, უფ. ქუჩაევა და ქაიდანოვი. საქმე მხოლოთ იმაშია ახლა: ეს პირები თანხმანი არიან იყვნენ მედიატორებად, თუ არა?

*** ამ მოკლე ხანში, არზრუმის სამხედრო სასამართლოის გარდაწყვეტილებით, სამი თათარი ჩამოულრჩეიათ ადგილობრივი სომხების მოკვლისა და გაცარცვისათვის.

*** დღეს, 4 ივლისს, ჩვენს ქალაქში მოხდა ერთი ამბავი, რომელმანც ჯერ-ჯერობით მარტო სოლოლაკი ააღელვა, მაგრამ ამაზე, უეჭველია, მალე მთელი თფილისიც ალაპარაკდება. საქმე აი რასში მდგომარეობს:

სოლოლაკელები კარგათ იცნობენ უფ. ახვერდოვს, რომელიც მუდამ დღე, დილიდამ საღამომდინ, დაიარებოდა ხოლმე სერგიევის და ამაღლების ქუჩაზე და საზოგადოთ უფ. შახ-პარონიანის აფთიაკისა და სადგომის ირგვლივ.

ამ ახვერდოვის დარდი ყველამ იცოდა: ამბობენ, რომ ამ ცამეტი წლის წინათ ის ყოფილიყო მოსკოვში, შეყვარებოდა იქ ონანოვის ქალი და შერთვა ნდომოდა. მაგრამ ბედს სხვანაირად უმუშავნია: ის ქალი დოქტორ შახ-პარონიანმა შეირთო.

მას აქეთ ახვერდოვი თავის ჭკუაზედ აღარ არის: როგორც ზევით მოგახსენეთ, სოლოლაკის მცხოვრებნი მუდამ დღე ხედავდნენ იმას უფ. შახ-პარონიანის სახლის პირ-და-პირ. ის აივლიდა და ჩაივლიდა ხოლმე აფთიაქის გვერდით და თვალი ზევით ფანჯარისაკენ ჰქონდა გასტერებული.

რამდენჯერმე იჩივლა თურმე უფ. შახ-პარონიანმა თუ პოლიციაში და თუ გუბერნატორთან, რომ ეს კაცი ჩამომაცალეთ, ცოლი გარეთ ვერ გამომიყვანია, ფანჯარასთან ვერ მისულაო და სხვ.; მაგრამ არა ეშველა-რა.

დღეს, ნასადილევის 2 საათზე, როცა მელიქიშვილის სტამბაში მივდიოდით, ჩვენ ვნახეთ უფ. ახვერდოვი თავის ჩვეულებრივ ადგილზე—აფთიაქის წინ—გაჩერებული. ხუთი მინუტის შემდეგ, სტამბიდამ დავბრუნდით და ხსენებული აფთიაქის წინ დავინახეთ: უფ. ახვერდოვი შლაპა მოხდილი და ხელებ-შეკრული მოჰყავთ! პოსლიკა თავზე ყველა მხრით საწყალს სისხლის ნაკადული მოსდიოდა. ხალხი მოგროვილიყო.

ამ დროს უფ. შახ-პარონიანი გაყვითლებული და დაფთხობილი გადმოდგა თავის ფანჯარაზე და ერთს თავის ნაცნობს, ქუჩაზე მდგომს, უკითხავს, რომ ახლა-ში შემომიეარდაო რევოლვერი ამოიღეო, მოკვლას მიპირებდაო, მაგრამ ამ დროს ბიჭები მომეშველნენ, გააჩერეს და დამიხსნეს.

— ცამეტი წელიწადია ამ კაცისაგან ამისთანა წვალებაში ვარო, სთქვა უფ. შახ-პარონიანცმა და თუმცა ყველგან ვჩივი, მაგრამ იმისგან თავი ვერ დავიხსენიო. დღეს სხვაგან მიდიოდი ცოლ-შვილით; საიდამღაც შეეტყო ეს გარემოება და შინ შემომიეარდა. არც დღე და არც ღამე მაგ კაცისაგან მოსვენება არა მაქვს!...

უფალი ახვერდოვი პოლიციაში წაიყვანეს....

„დროების“ კორრესპონდენცია

ახალქალაქი, 24 თებერვალ. ეს სამი დღეა, რაც წვიმები შესწყდა და თფილისური ტარისი დაგვიდგა. მაგრამ არა, იმგვარი სიცხეებისაგანაც ღმერთმა დაგვიხსნას, აქ მხოლოთ 15-20 გრადუსამდი არის.

ერთ რიგათ თავის სიგრილით კარგი საზაფხულო ალაგია ეს ახალქალაქი: გარეშემო მდებიარება ჩინებული აქვს და ზაფხულში მშვენიერათ აჭრელებულია ბუნება; მაგრამ აქ ცხოვრება კი მსაფლაური სიჩუმით მიმდინარეობს.

ამ თვის დამლევს მთელი დივიზია ლენერალ ტერ-ლუკასოვისა ახალქალაქის მინდვრებზე ბანაკდება. ამათ მოსვლის ხმამ ეხლავე დაალვიძა სომეხ-ვაჭარნი და ესრეთ წოდებულნი ევროპიის ცივილიზაციურ გემოს მოყვარე ქალები. ბულები უკანკალებთ სიხარულისაგან და ფეხები ეხლავე უხტით ტანცი-მანცისთვის; მაგრამ საბწუხაროთ ამ გვარი ქალები სულ თითებზე მოითვლებიან.

მილიციონერების შეკრების საქმე ამ მაზრაში ძალიან ჭანდრაკულათ მიდის. ამ თვის 15-ში ქალაქელებმა გაათავეს თავის ხვედრი კაცების გამოყვანა 6 კაცი „ახოტნიკები“ (?) გამოიყვანეს და 6 კაციც კენჭით კანდიდატები დაამზადეს.

ამავე რიცხვში დილისკის საზოგადოებაში შეუდგა მაზრის უფროსი კენჭის-ყრას; ხალხი ბევრი ყაყანის შემდეგ თითქმის თანახმდებოდა, მაგრამ უცბათ ტელეგრამმა მოუვიდათ თფილისიდგან იმ თავიანთ გაგზავნილ კაცებისაგან, რომ ჯერ კენჭის-ყრას ნუ შეუდგებით, ღუბერნატორმა შეიწყნარა ჩვენი თხოვნა, განთავისუფლებას გვიპირებსო. ამ ტელეგრამმამ სრულებით გადარია ხალხი და დაიწყეს ერთმანეთში ჩორჩოლი. ხსენებული ტელეგრამმა მაზრის სამმართველოს თარჯიმანმა უფ. ბერიძემ უპოვა ხელში და მაშინათვე წარუდგინა მაზრის უფროსს. მაზრის უფროსმა ამით ახსნა ხალხის უარზე დგომა და მაშინათვე ესტაფეტით გაგზავნა ის ტელეგრამმა ღუბერნატორთან. ღუბერნატორმა

ის რეა დანდობილი კაცები ამა მაზრისა Თფილისში დაატყვევნა, როგორათაც უწესოების მოთავე ხალხნი; ამათში ერთი ვაჩიანელი გამოქცეულა და მოვიდა აქ.

ბუშინ მაზრის უფროსმა გამოიწვია მთელი მაზრიდგან საზოგადოების თავზე თორმეტ-თორმეტი კაცი და გამოუცხადა, რომ უნდა კენჭის-ყრა გათავდესო. ხალხმა ერთხმათ გადასწყვიტა, რომ ჩვენ კენჭით ყრაზე სრულებით არ დავთანხმდებითო და თუ ისე გნებამთ კომლზე კაცი გამოვალთ სამსახურათაო.

ერთის სიტყვით, მთელი მაზრა (ყაზახის საზოგადოების გარდა, რომელთაც უკვე გაათავეს თავის ხვედრი კაცების გამოყვანა) ახირებულ უარზედ დგას: თქვენთვისაც ასე მოგვიხსენებიაო და ღუბერნატორიც რომ მობრძანდება, იმასაც ისე მოვახსენებთო, კენჭით არ გამოვალთო.

სიმართლე თხოულობს კაცმა სთქვას, რომ მაზრის უფროსი უფ. ჩიხოვსკი ძალიან მშვიდათ და მამაშვილურის დარიგებით ეექცევა ამ ხალხს და ურჩევს მშვიდობიანათ დააბოლოოონ საქმე, მაგრამ ამ ხალხს კრუა-სომხებს ვერას გზით ვერ ჩაგონა. ამ მაზრის ქართველი ხალხი კი თუმცა ცოტანი არიან, მაგრამ ვისაც კი მკლავი უჭრის, ეხლავე სულ მკლავზედ იყურებიან და „ახოტნიკებათ“ იწევენ.

ჯერ-ჯერობით ამ მაზრაში მილიციის გამოყვანა კენჭის-ყრით ამ გვარ საშეუხარო მდგომარეობაში იმყოფება და ვნახოთ რითი დაბოლოვდება.

ილია ალხაზიშვილი

ოსმის ამბები

ბერლინის კონგრესი

იმ მორიგების თაობაზე, რომელიც ინგლისსა და ოსმალეთს შეუკრავს ერთმანეთში და რომლის ძალითაც ოსმალეთი კიპრის კუნძულს უთმობს ინგლისსა, მინისტრს ბროსს ინგლისის ქვემო პალატაში უთქვამს შემდეგი სიტყვები:

„რადგან რუსეთს რჩება ერთი ნაწილი ოსმალეთისა მცირე აზიაში, ამის გამო ინგლისის ბოროტლევა შემდეგის პირობით შეეკრა ხონთქარს:

„თუ ვინიცობაა რუსეთს დარჩა ბათუმი, ართაანი ანუ ყარსი და თუ შემადგენში რუსეთმა განიზრახა კიდევ სხვა დგილების დაპყრობა მცირე აზიაში, ამ შემთხვევაში ინგლისი ვალდებულია დაეხმაროს სულთანს თავის სამფლობელოს დაცვაში; სამაგიეროთ სულთანი ინგლისს უთმობს კიპრის კუნძულსა. თუ ოდესმე რუსეთი დაუბრუნებს ოსმალეთს ხსენებულ ადგილებსა, მაშინ ინგლისიც ვალდებულია დაუბრუნოს ოსმალეთს კიპრი.

„რადგან ახლა ეს გარემოება სისრულეში მოდის, ამის გამო ხონთქარი ვალდებულია გამოსცეს ფირმანი, რომლითაც კიპრი ინგლისის საკუთრებად ხდება.“

ჩვენ ვიცით გაზეთებიდამ და დეპეშებიდამ, რომ ინგლისის ელჩმა და ჯარებმა უკვე ჩაიბარეს კიპრის კუნძული.

—

„Indép. Belge“-ის ბელინელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ 26 ივნისს კონგრესს სხვათა შორის გარდაუწყვეტია, რომ კოტურის მაზრა სპარსეთს დარჩესო. ამ საგანზე მოლაპარაკების დროს კონგრესსის სხდომაზე სპარსეთის ბერლინელი ელჩი დასწრებია.

—

ამავე გაზეთის სიტყვით, ბათუმის ციხეების დანგრევის თაობაზე კონგრესს არ ჰქონია მოლაპარაკება. ამ საგნის შესახებ ინგლისი და რუსეთი უნდა მოთავსდნენ ერთმანეთში ცალკე მოლაპარაკებითაო.

—

გაზეთს „პრესს“ სწერენ საბერძნეთიდამ (ათენიდამ):

„საბერძნეთის ხალხი ძალიან გაჯავრებულია კონგრესსის გადაწყვეტილობაზე, რადგან იმათ არა ერგოთ-რა. გაზეთები ურჩევენ კოროლს, რომ წაუძღვეს ჯარს და სამზღვარზე გადავიდეს. სტამბოლელ ბერძნების ბანკირებისაგან კოროლს მოუვიდა ამ დღეებში ადრესი, რომელშიაც აგრეთვე ურჩევენ, რომ ძალით წაიღოს ის (თესალია და ეპირი), რაც ნებით არ მისცა ბერლინის კონგრესმა და ფულის მხრით შემწეობას ჩვენგან მოელოდეთო.“

—

გაზეთის „ტაიმსის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ინგლისის სამხედრო ფლოტ'ი, რომელიც დიდი ხანია სტამბოლის მახლობლად არის გაჩერებული, საფრანგეთის რამდენიმე სამხედრო გემიც შეუერთდა ახლა და ამ დღეებში ავსტრიისა და იტალიის ხომალდებსაც მოელიანო. ამ ევროპის ხომალდების მოგროვებას სტამბოლთან, როგორც მოგეხსენებათ, ის განზრახვა აქვს, რომ ოსმალეთი აიძულონ დაემორჩილოს ბერლინის კონგრესსის ყველა გარდაწყვეტილებას.

—

ბერლინის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ბათუმის თაობაზედ:

„რუსის მთავრობამ დანიშნა ცალკე კომისია, რომლის წევრათაც, სხვათა შორის, ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვიც იყო და რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოეთქვა თავის ჰაზრი ბათუმის შეძენის შესახებ.

„ამ კომისიამ, როგორც ამბობენ, გარდაწყვეტაო, რომ ბათუმისა და იმის პორტის გამაგრება და დაცვა ისე ძვირად დაუჯდება რუსეთსო, რომ რაც ამაზე ფული დაეხარჯება, ბათუმი იმდენ სარგებლობას ვერ მოიტანსო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

პარიჟის გაზეთები სავსეა იმ „ნაციონალური დღესასწაულობის“ აღწერით, რომელიც საფრანგეთის მმართებლობამ გამართა გასული ივნისის 18-ს (30) პარიჟში. მთელი პარიჟი, ყველა ქუჩები, სახლები, თეატრები და სხვა შენობები გაჩაღებული იყო თურმე ფერად-ფერად ფანრებითა და ჭრაქებით. ბაღებში პარიჟის გარშემო მთებზედ შუშხუნებს უშვებდნენ; მდ. სენაზე და აუზებში ნავებით დაიარებოდა ხალხი და წყლიდამაც კი შუშხუნები ამოდიოდაო.

მთელი პარიჟის ხალხი ქუჩაზე იყო თურმე გამოსული და „მარსელიეზას“ სიმღერით და ერთის ამბით ატარებდნენ დროებას. განსაკუთრებით მშვენიერი სანახავი იყოვო ლათინის (სტუდენტების) უბანი და ის უბნები, საცა მუშები დგანან.

გამოფენაზე ამ დროს ყველა წარჩინებული პირები იყვნენ მოწვეულნი და აქ შინაგან საქმეთა მინისტრმა მარსერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, მოიხსენა, რომ „ეს არის დღესასწაული საფრანგეთის რესპუბლიკისაო; ამ რესპუბლიკისაგან საფრანგეთი თავის დიდებას, წარმატებასა და ქვეყანა მშვიდობიანობას უნდა მოელოდესო!“

წერილი რედაქტორთან

—

გაზალეთის საზოგადოებას უნდა აღმოერჩია მამასახლისი და სუდიები.

კანონით აღმორჩევა უნდა იყოს ალაგობრივ; მაგრამ ხალხი იყო დაბარებული ქ. დუშეთს. ჰსჩანს, უმფროსისთვის მთელი საზოგადოების დაბარება დუშეთს უფრო ადვილია, ვიდრე ამისი წასვლა ალაგობრივ.

იქნება ჰსთქვან, რომ გაზალეთის საზოგადოების სოფლები დუშეთს გარს ახვევიაო და აქა-იქა დაფანტულებიაო; მაგრამ ეს ბიზეი შესაწყნარებელი არ არის. მიზეი არის თვითნებობა უმფროსისა, რომელმაც კარგათ იცის, რომ არავინ წინ არ აღუდგება ამის ბრძანებასა.

აღმორჩევა იყო დანიშნული 30 აპრილს ამ წლის და წინა დღით მისწერეს ბლაღოჩინს მღვდელს მიხეილ ბერძენოვს, რომ მისულიყო უეზდის უპრავლენიაში დასაფიცებლათ ხალხისა. 30 აპრილს იყო კვირა-დღე—და შემდეგ წირვისა მღვდელი პირ-და-პირ ეკკლესიიდამ წავიდა უპრავლენიაში—ჯვარით და სახარებით. სადაც იყვნენ ჩინოვნიკები უპრავლენიისა, იმ ოთახში შეევიდა და ელოდა უფროსის მოსვლასა, რომ აღესრულებინა თავისი სამსახური და წასუ-

ლიყო შინა. ამ დროს უმფროსი შეეა იმ ოთახში და დაინახამს თუ არა მღვდელს, გეექანება პირ-და-პირ, შეუბღვერს მრისხანე, სახითა ნაცველათ სალამისა, შაუტევს და მაღლის ხმით ეტყვის:

— ქნიაზო მიხეილ, მოგბძანდით! რატომ აღდგომა დღეს არ მოხვედით ჩემს სახლში? არ იცით, რომ მე ვარ ნაჩალნიკი, ყველანი მუნდირებით უნდა გამოცხადდნენ ჩემთან? მე ვარ ნაჩალნიკი ყველასი; შენ არა ხარ ღირსი ბლაღოჩინობისა! არ იცი კანონები! მივსწერ ახალს ეგზარხოსს, გუბერნატორს; დაგიმტკიცებ, დაგიმტკიცებ, რომ შემიძლიან დაგიბარო! და სხ.

წარმოიდგინეთ მდგომარეობა მღვდლისა! საწყალი განცვიფრებული თურმე უყურებდა და არ იცოდა რა ეთქვა, რადგანაც ამ გვარი უპატიურობა თავის დღეში არ მიუღია და არცა სმენია. როგორ მოგწონთ, ბატონო რედაქტორო, ამ გვარი შენიშნვა სახალხოთ და დამცირება სამღვთო პირისა, რომელსაც უნდა უსმენდეს დიდიც და პატარაც! აძის მსმენელ და გამგონე მდაბალ ხალხს რა კრძალვა, პატივი და მორჩილება უნდა ჰქონდეს მღვდლისა?

ამბობენ, ვითომც მღვდელს მიხეილს მიუცია საჩივარი.

შემდეგ მღვდლის გაუპატიურებისა რამდენიმე დღეს უკან, ხსენებული უფროსი წავიდა მთაში ალმოსარჩეველად კიდევ მამასახლისებისა. იქ თურმე ხალხი საზოგადოებისა [illegible] ნაწილად; დაიწყეს ყაყანი, ლაპარაკი და ბაასი: არა, ეს ალმოვირჩიოთ და არა, ესაო! ნაჩალნიკს ეს არ მოეწონა... მოითხოვა მათრახი და დაიწყო ცემა. ამისთანა ძალამ მიიყვანა ხალხი იმ მდგომარეობაში, რომ ალმორჩევა მოხდა ხმა-ამოუღებლივ და ნაჩალნიკი ჩამობძანდა დუშეთში...

ა.

დუშეთი, 29 ივნისს.

განცხადებანი

ИЗЫСКИВДЕБА ТФИЛИСЫ „ЦЕНТРАЛЬНЫЙ ВИБЛИОТЕКА“ ქართული

„სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ИЗЫСКИВДЕБА ТФИЛИСЫ „ЦЕНТРАЛЬНЫЙ ВИБЛИОТЕКА“ ქართული САМЗАРЕУЛО ВИБЛИОТЕКА“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

დაიბეჭდა და ИЗЫСКИВДЕБА ბ. ჩარკვიანის ВИБЛИОТЕКА ИЗ ВИБЛИОТЕКА და თელავს— სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად ,თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ობრბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან ფასი 30 ქაპ ეიკი

ГАМОЦЕМИДА ДА ИЗЫСКИВДЕБА „ЦОЛИ ВИТИРО, ТУ ФУЛИ“

КОМЕДИА АЛ. ПУШКИНИСА

ИЗЫСКИВДЕБА: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—Иосиф ქუზმანაშვილთან, ქარელს—Давит ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უფეტში, სურამს—ზაქარია АРУШОВთან, ქუთაისს—Якоб ОЖАНЕЗОВთან და სვ. Сергеевესთან ФОТОШИ—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. Ив. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. Ник. Диасамидзესთან, მეჯვრისხევს—მასწ. Моисей ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

ГАМОЦЕМИДА ДА ИЗЫСКИВДЕБА

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ИЗЫСКИВДЕБА: ТФИЛИСЫ—ყველა წიგნი მაღაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიღელს, (ქუკიაში, ელისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

რკ. გზა.	ღილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია.	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 4 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	70
ფქვილი წითელი. . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
—ამერიკისა, ფუთი . .	8	—
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	50
—თარაქამისა ფუთ. .	6	—
აბრეშუმი ნუზური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	6	—
ძონის სანთელი ფუთი.	9	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	6
—ფხვნილი ფუთი . .	6	—
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანც—ხორურგი, ბარალეიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ოპრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი